ა (ა) ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

27. 01. 2012 № 9

თბილისი

სტუ-ს არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის განყოფილების უფროსის და უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2012 წლის 23 იანვრის სხდომის №3 ოქმის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის განყოფილების უფროსისა და უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად (დანართი №1).
2. კონსურსი ჩატარდეს 2012 წლის 13 თებერვალს.
3. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2012 წლის 30 იანვარს და დასრულდეს 2012 წლის 10 თებერვალს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შენობაში. (მის: მინდელის ქ. №10. IV სართული), 11 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
4. დანართი №1-ს შესაბამისად დამტკიცდეს ვაკანტური თანამდებობები, თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.
5. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს საჯარო კონკურსს ამავე უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად

1. მანქანური ინტელექტის პრობლემების განყოფილება
   განყოფილების უროსი – 1 საშტატო ერთეული
   უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული

2. მართვის სისტემებისა და მოდელირების განყოფილება
   უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული

3. ენობრივი და სამეტყველო სისტემების განყოფილება
   უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული
   უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 0.5 საშტატო ერთეული

ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განყოფილების უფროსის თანამდებობის დასაკავებლად:

განყოფილების უფროსის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;

ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად:

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული (მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) განყოფილების განვითარების ხედვა-პროგრამა (განყოფილების უფროსის თანამდებობის კანდიდატისათვის);

კონკურსში მონაწილეთა განცხადების მიღება იწარმოებს განცახდების პრესაში გამოქვეყნების დღიდან 2012 წლის 10 თებერვლის 17 საათამდე, საბუთების მიღება იწარმოებს საქართველოსტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტში, მისამართი: მინდელის №10, მე-4 სართული.

კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 13 თებერვალს